



ნ. გ. გუმბურაძისა

ჩვენს მრეწველობას დიდი ოდენობით სჭირდება ტარა-
 რტო სახალხო მეურნეობის საბჭოს სისტემაში მას 56
 ანსა, და სამჭროში ამაღლებენ ნახევრადკუსტარული წე-
 ი. ასეთი ტარის თვითღობებულა 2-3-ჯერ აღმატება
 წესებულ საპრესურანტო ფასებს, დაშვებულა ხე-ტყის
 სალის დიდი გადახარჯვა.

(საქართველოს კვანტრალური კომიტეტის დეკა-
 ბრის პლენუმის მასალებიდან).

— რას აუწინებთ?
 — ვაუწინებთ კი არა, ერთ უფეს ვაკეთებთ მანდარინისათვის

ხალხი ხელფასით ცხოვრობს, ზოგი ფათურ-ფათურ!
 ზოგის აზრით, ვინც ფათურ-ფათურ ცხოვრობს, ისაა კაცი, იმას უყვარს ოჯახი, იმას ყავს მეგობრები, იმას უყვარს პურ-მარილი, იმან იცის ქიციც და ქიციმაცუნიც და იმას ხურავს ქული.
 ასე ფიქრობს ის, ვინც ცხოვრობს ფათურ-ფათურ და ასე ფიქრობს ყველა, ვინც ამ მოფათურეთა თანამეინახეა და გულშემატყვიარი.
 ფათურ-ფათურ ცხოვრება რომ სულთ და გულთ ენატრებოდა, სწორედ იმით დააყენებინა თავისი კომბინატორული თავი ნოე ხარაძემ „თბილკვებვაჭრობის“ № 107 მაღაზიის გამგედ. „ქული მხურავს, ჩემია, და მაღაზიაში რომ ვმსახურობ, ისიც ჩემიაო“, — იფიქრა ნოემ და მაღაზიის შემოსავალი საკუთარ შემოსავლად მიიჩნია. ის-ის იყო სულ რაღაც 4.775 მანეთი ჩაიჯიბა, რომ ქეჩოში სტაცეს ხელი, — გეყო, ზედმეტი მოგივიდა და, რაც ჩაყაჭე, ამოყაჭეო.

ჰოდა, რა გაემტყუნება, ამხეა ნოე ნაწყენი!
 ექსპედიტორი იყო ვალერიან გალაღვა. იშვებდა და იხარებდა ამ ქვეყნად, მაგრამ, არა და არ იკმარა ეს, საწყობიდან მაღაზიაში 150 სკამი მანქანით რომ გადაჰქონდა, თავი გამყიდველ-ექსპედიტორად წარმოიდგინა, დღისით მზისით ღია ცის ქვეშ მოძრავი მაღაზია გახსნა და შეუდგა ვაჭრობის პრაქტიკის გავლას. ინსპექტორის წამოწყება უბერსპექტივო გამოდგა, „სკამებს ყილდი, ხალხი რომ დავესვენებინა, ახლა წამობრძანდი, შენ დავსვამთ და მოისვენო“, უთხრეს და მიაბრძანეს.
 „სოიუზბეჩატის“ საწყობის გამგე ავად რომ გახდა, ვასილ დოლიძე დასვეს მის მაგივრად. ვასილმა საწყობში აფათურა ხელი. ახალთახალი ყურნალ-გაზეთები გაყიდა და ჩაიჯიბა, მათ მაგივრად ძველითა და ჩამოწერილით გამოტენა საწყობი. ახლა ყველაფერს მიუხვდნენ დროებით საწყობის გამგედ

დასმულ ვასილს და არც აციეს, არც აცხელეს, აიყვანეს და ჩასვეს.
 ფესაცმლის № 2 მაღაზიის სექციის გამგე იულონ მეშვილდიშვილმა სექცია საკუთარ დუქნად აქცია, ფაქტურისა საქონელს უფაქტურით დაუმშვენა გვერდი, ყიდა და ყიდა და ნავაჭრი ზიდა და ზიდა და სულ მოკლე ხანში სულ რაღაც 4.969 მანეთი „შემოქცამა“. ბოლოს, ერთი დღე მასაც არ შერჩა, ყელში გაეჩხირა ნაყლაპი.
 სერგო არზუმანოვს მარტო 757 მანეთი შემოეფლახა „სოიუზბეჩატის“ № 65 ჯიხურში ფათურ-ფათურში. ახლა ზის და ხელებს ასავსავებს, სად მე და სად გამფლანგველი, ერთი საწყალი გაზეთის გამყიდველი ვარ, თავი დამანებეთო.
 ვლადიმერ ზავარაზიანი ორჯონიკიძის სახ. რაიონის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის ღამის დარაჯი გახლდათ და ჩარაზული შენობის დარაჯობა ეკისრებოდა.
 ერთ ღამეს მოეწყინა ზავარაზიანს, გახსნა ჩარაზული კარები, წინასწარ-მომარაგებული გასაღები მოარგო სეიფს და, რაც შიგ გროშები ეყარა, დაუთვლელად ჩაიყარა ჯიბეში. როცა ხელი სტაცეს ზავარაზიანს და 1894 მანეთის წაღება დააბრალეს, ბოქლომი შეაგდო და თავი შეუშვირა, რა ვქნა, დაღლილი ვიყავი, ჩამძინებია, ვილაცა სხვა შემოპარულა და გაუქურდავს აქაურობაო. მისი აღსარება ყველამ „დაიჯერა“, მაგრამ ზავარაზიანი მაინც ჩარაზულში ზის ახლა და თანაც ნიშნის მოგებით გაიძახის: ამ საქმეში კიდევ ვილაც-ვილაცები ურევია, მაგრამ, გინდათ თავი იმტვიროთ, პრინციპიანი კაცი ვარ და ვერ გამტეხავთო.
 მამაკაცებს არც ქალები ჩამორჩნენ ხელების ფათურში. № 2 სასადილოების ტრესტის № 110 სასადილოს მეკუქნავე ლენა ავეტისოვამ 1717 მანეთი აცანცლა, იმავე სასადილოს მეზუფეტუნუ კაზაკიშვილი კი 560 მანეთით დაკმაყოფილდა, და ეს არცაა გასაკვირი, ქალები არ ლოთობენ, ძმაბიჭებს არ არიან აყოლილნი, სარესტორნო დროისტარებისაგან მორალურად თავისუფალნი არიან და ამიტომაც ეხარჯებათ ცოტა და ამიტომაც ეფლანგებათ ცოტა.
 ამბობენ მეზუფეტეები ისედაც საკმაოდ შოულობენ და გაფლანგვა რაღად სჭირდებათო, მაგრამ, რას იზამ, მაღაზიაში მოდის და რა მათი ბრალია, თუ მაღა გაეღვიძათ.
 ახლა ხელები შეკრული არა აქვთ, მაგრამ შეაშვებინეს ხელი ფათურ-ფათურ ცხოვრებისათვის.

ნახ. ჯ. ლოლუაძე



— კი, მაგრამ, რატომ მაფარებ ყურზე ხელს?
 — მეშინია, ბატონო, ჩემი თხოვნა მეორე ყურიდან არ გაგებაროს.

3. ხმალაქა.

პირველ მეოთხედში „ორიანი“ მქონდა, მეორეში „ხუთიანი“ ავედი. ჩემს მეგობარს დიდხანს არ მოაშორეს „სამიანი“. შემდეგ „ერთიანი“ ჩამოიყვანეს, ახლა „ცხრიანი“ აქვს. არიან ამხანაგები, რომლებსაც „ოთხიანი“ და „შვიდიანი“ აქვთ.

„ორიანის“ მისაღებად ორასამდე განცხადება დავწერე, „ხუთიანი“ კი ყოველგვარი თხოვნის გარეშე გადამიყვანეს. ახლა ერთმანეთს ვადარებ და ვფიქრობ — „ორიანი“ ჯობია თუ „ხუთიანი“? ზოგიერთი, ალბათ, იფიქრებს, „ორიანი“ და „ხუთიანი“ რა შეაღარებელიაო, მაგრამ მე ხომ მოსწავლეთა აკადემიური წარმატების შეფასებაზე არ მოგახსენებთ. საქმე თბილისის იმ ტელეფონებს ეხება, რომელთა ნომრებიც „ორიანი“ და „ხუთიანი“ იწყება.

ჩვენთან ავტომატური სატელეფონო კავშირის მუშაობა სრულიად არ ექვემდებარება წარმატებისათვის დადგენილ ნიშნებს. შეიძლება „ორიანი“ უფრო კარგად მუშაობდეს, ვიდრე „ხუთიანი“, ან კიდევ „სამიანი“ ორივეს ჯობდეს. (ეს, მგონი, ასეც არის).

უკანასკნელ ხანებში ისე გაზვიადდა ტელეფონების ნომრების შეცვლა-გამოცვლა, რომ მეგობრების უმრავლესობას ვეღარ ვუკავშირდები. ერთი კაცის ტელეფონის ნომრს გაგებას ერთ დღე მაინც სჭირდება. ჯერ უნდა გაიგო „სამიანიდან“ „ერთიანი“ გადასვლის დროს როგორი რიცხვობრივი გამოხ-

ტულება მიიღო მისმა ტელეფონმა, შემდეგ „ერთიანიდან“ „ცხრიანი“ გადახტომის დროს როგორ შეიცვალა მისი სახე.

ჩვენს დედაქალაქში ახალი ავტომატური სატელეფონო სადგურების ექსპლოატაციაში გადაცემასთან დაკავშირებით ბევრი რამ შეიცვალა. არ შეცვლილა მხოლოდ თბილისის საქალაქო სატელეფონო ქსელის ცნობარი, რომელიც 1957 წელს გამოიცა უკანასკნელად და ახლა მისი საშუალებით სოლომონ ბრატენიკ ვერაფერს გაარკვევს.

იეთი მდგომარეობის დროს ყველაზე ხშირად 09-ს ვურეკავთ. ის კი ხან ხმას არ იღებს გაბუტული ბავშვივით (კაცა გაფიქრებინებს, რომ საჭიროა კიდევ ერთი ცნობათა ბიურო, რომ გაარკვევოს თუ რატომ არ პასუხობს ცნობათა ბიურო), ან „ტუ-ტუ-ტუ“-ს მუსიკით გამცნობთ თავის მოუტელელობას. ზოგჯერ, როგორც ჩანს, ცნობათა ბიურო ერთდროულ სეანსებსაც აწყობს. ყურმილში შენს თხოვნასთან ერთად ისმის სხვისი შეკითხვა და, ძნელია გაარკვიო, ასეთი დუეტის დროს რომელი ნომერი დაგისახელა შენ და რომელი — სხვას. ზოგჯერ დანადვილებით იცი, რომ შენს მეგობარს ტელეფონი აქვს, შენ კი რომელღაც რიცხვი გადაგავიწყდა, მის დასახუტებლად ცნობათა ბიუროს ურეკავ. იქიდან კი გასუხობენ — ასეთ მოქალაქეს ტელეფონი არა აქვსო, ანდა სხვა ტელეფონის ნომერს მოგცემენ.

ამხანაგებთან საუბრის დასასრულად, რომ ჩემი ტელეფონი თავისი მუშაობით თბილისელი ძმების ტყუბია. ის განსაკუთრებით მაშინ გაჯიუტდება ხოლმე, როცა კაცს სასწრაფოდ გინდა დარეკვა. აიღებ ყურმილს და უცდი რომდის მიიღებ საჭირო სიგნალს. ზოგჯერ ყურმილში ისეთი ხმაურობა ისმის, კაცი იფიქრებს სადღაც წისქვილთან შემებრთესო და შენც უცდი სანამ არ ჩამოქვავს. დიდი წარმოება-დაწესებულებების ქვესადგურებთან დაკავშირება ხომ ზღაპრული ამბავია.

გასაოცარი ის არის, რომ ზოგიერთი ტელეფონი წარმოუდგენელ უცნაურობას იჩენს. ყურმილს აიღებ და, როგორც წესი, ნიშანს გაძლევთ, რომ შეიძლება ტელეფონით დარეკვა, მაგრამ, აკრფთ თუ არა პირველსავე ნომერს, „ტუ-ტუ-ტუ“-ს ძახლით გამცნობთ, რომ თავი დამანებეთ. ზოგჯერ მეორე რიცხვის აკრფის შემდეგ იძლევა დაკავების ნიშანს, ზოგჯერ მესამეზე და ა. შ. დღემდე ვერ გამოვარკვევ, თუ რით არის გამოწვეული ტელეფონის აპარატის ასეთი ცუდლუტობა.

ხშირად ჩემს ტელეფონს ისეთი სიჯიუტე შეიპყრობს ხოლმე, რომ ბუნებით მშვიდსა და აულელვებელ კაცსაც გამოიყვანს მოთმინებიდან. რამდენიც არ უნდა ავკრიფო ჩემთვის საჭირო ნომერი, ის მაინც სულ სხვა და, ამავე დროს, ერთსა და იმავე ნომერს მავრთებს. საქმე გრძელდება მანამდე, სანამ განმარტებით დაწყებული სიტყვები: „მეგობარო, თქვენ იქ არ მოხვდით, სადაც რეკავთ“ მოთმინებიდან გამოსული პიროვნების მრავალსართულიანი შეკურობებით არ დამთავრდება.

ჩემს ტელეფონს ის „უპირატესობა“ აქვს, რომ ერთდროულად შეგიძლია ამხანაგსაც ელაპარაკო და ორი-სამი აბონენტის საუბარიც მოისმინო. ყურმილში ისმის ასეთი ლაპარაკი: — „გამარჯობა, ნაპოლეონ! როდის ჩამოხვედი ზესტაფონიდან, ღვინო ხომ ჩამოიტანე, დღეს შენი სტუმრები ვართ!“ მალე მათ დიალოგს ქალების დაუსრულებელი საუბარი ცვლის: — გოგო, გავიუღებ, ლამარას ისეთი იმპორტული ქურჭი უყიდი, — დიდუ, სად იშოვანეტა?!

— დაკიდეთ ყურმილი! — ვუყვირი ვოკალური მონაცემების მაქსიმალურად გამოყენებით, მაგრამ არავინ მისმენს და მეც იძულებული ვხდები მოვუსმინო უკანასკნელ ცნობებს, თუ ვინ როგორი კაბა შეიკერა, ვინ გათხოვდა და ვინ ქმარს გაეყარა.

თბილისის საქალაქო სატელეფონო ქსელს ბევრი ახალი ნომერი შეემატა. ეს ძალიან კარგია, მაგრამ ნომრების რაოდენობის ზრდა ნაკლოვანებების ზრდის პირდაპირ პროპორციული არ უნდა იყოს. ყველა ტელეფონი ფრიადზე უნდა მუშაობდეს, რომ აბონენტები არ სვამდნენ კითხვას: „ორიანი“ ჯობია თუ „ხუთიანი“?

ნახ. ჯ. ლოლუასი




— თქვენი მოსწავლეების ნაწერებში ბევრი შეცდომაა, არ უხწორებთ?
— რაფრა არ ვუხწორებე, მარა ესმითყე?

დავიბადე 1961 წელს ქ. თბილისში, ქებურის ქუჩა № 54-ში, მე დედისა ვარ, დედას მარიამი ჰქვია, გვარად ქართველიშვილი. დედა მამისაა, მამას გივის ეძახიან, კუჭუხიძეა. ვცხოვრობ ქებურის ქუჩაზე და იქვე, იმავე სახლში ცხოვრობს ბებიაჩემი, მამის დედა და ისე ვუყვარვარ, ისე ვუყვარვარ, რომ არც ენით გამოითქმება და არც კალმით აიწერება.

მე კიდევ, ჩემი მხრიდან, დედაც მიყვარს, მამაც მიყვარს, ბებო ყველას მიჩვენია, მაგრამ... ერთი ჩემს გულშია ჩაიხედე, ყველასათვის საყვარელო ნიანგო, მგონი მეც ვუყვარვარ, მეფერებთან, თავზე მევლებიან და, იმავე დროს, ეს რა გამიკეთეს, რას მერჩოდნენ, უსახლკაროდ რომ დამტოვეს?

აღბათ, შენც იცი, რომ, დაიბადება თუ არა ბავშვი, უნდა სადმე ჩაიწეროს და მზის ქვეშ ადგილი მიეჩინოს. მეც მიმიჩინეს ადგილი, მაგრამ იქ კი არა, სადაც დავიბადე და სადაც ვიზრდები, არა, სადაც სხვაგან, გროზნოს ქ. № 4-ში, დედაჩემი იქიდან მოუყვანია მამას, დედას იქ საბინაო სამმართველოს 13 კვ. მეტრი ფართის ოთახი ჰქონია, მერე დაკარგვის შეშინებია, სტუდენტი გოგონებისათვის მიუქირავებია და შემოსავლის წყაროდ გაუხდია, თვეში 350 მანეთს იღებდა თურმე ძველი ფულით, მეზობლებს ჩივილი რომ დაუწყიათ, ბინა სხვაგან აქვს და ამ ბინას უკანონოდ ფლობს და აქირავებს, დედაჩემს ოქტომბრის რაიონის რაისაბჭოს გაცურება მოუწოდებია, წაიღეთ ეს ოთახი, მე თავმდაბალი ქალი ვარ, საგარანტიო წერილს დავგვრდები, ერთი წლის შემდეგ სხვაგან, ახალ შენობაში მომეცით შესაფერისი ფართიო.



— ეს ჭიქა ყველამ გამოსცალა, შენ რატომ არ სვამ? — წნევა მაქვს 220. — აბა, პირდაპირ რიონებსზე ყოფილხარ, შე კაცო, ჩართული.

მაგრამ რაისაბჭოს მუშაკები არ გაბრიყვებულან და დედაჩემი მშრალზე დაუტოვებიათ, თუმცა, არა, არცთუ ისე მშრალზე, ოთახი არ ჩამოურთმევიათ და დედაჩემი და მე ახლაც ვფლობთ იმ ოთახს. მართალი გითხრა, მე ის ოთახი თვალათაც არ მინახავს, მაგრამ იქა ვარ ჩაწერილი და, იმიტომაც, რომ გაწუხებთ და ქადაგად დაგიდექით. დედაჩემი ათასში ერთხელ მიდის ქებურის ქუჩაზე მდებარე სახლიდან და თურმე იქ, გროზნოს ქუჩაზე ათევის ღამეს, რათა იქაურ მეზობლებს მოაჩვენოს, ესაო და აქა ვცხოვრობო.

ძვირფასო ნიანგო! რა საჭიროა ეს კომედია. ჰკითხეთ ერთი, ღმერთი არ იცინა ჩემმა მშობლებმა და რაისაბჭომ? იმავე ეზოში, როგორც გამიგია, ერთ თორმეტ კვადრატულ მეტრის ოთახში ბუმბეიშვილის ოჯახი ცხოვრობს, შვიდი სული, თერთმეტ კვად-

რატულ მეტრის ოთახში კი ზაკუტოვების ოჯახი, ხალხი უბინაობით რომ ისრჩობა, მისცენ ის ოთახი რომელიმეს, ერთ ხანს სულს მოითქვამენ და ჩემი მშობლებიც მოისვენებენ, დაწყენადებიან, მორჩებიან ამ გაუთავებელ გაწამაწიას.

აბა, შენ იცი, ჩემო ნიანგო, ამ საქმეს ოპერატიულად და შენებრ ნიჭიერად თუ მოაგვარებ, თორემ მეტი აღარა ვარ, ჩამოვლნი გოგონა.

პატივისცემით: ვეფენია კუჭუხიძე. P.S. იმ ოთახს მე თუ მინახავს, ძალიან ცდებიან. რა უსახური მე მნახეს, რომ გაუთხოვარი დავრჩე, და, თუნდაც ეს არ იყოს, სანამ გავიზრდები, ე. ი. ამ რამდენიმე წელში, თბილისს იმდენი სახლი და იმდენი ბინა მოემატება, რომ დედაჩემს თავისი დღევანდელი მოქმედება, აღბათ, სიცილადაც არ ეყოფა.

ნივთებს გადაყოფილი

თელმე უჯრა-კარადები გააღო და კვლავ დაქვია, და ნივთებიც გადააწყო ხან იქით და ხან აქეთა.

ბოლოს მორჩა ვივავლახს, მოუძებნა ყველას ბინა, დაწვა... მაგრამ, რაღა დაწვა, ძლივსძლივობით ჩაეძინა. გარეთ ღამე კამკამებდა მთვარიანი, ჩუმი, წყნარი... ახლა ნივთთა გულითადი გაიმართა საუბარი.

— ამ ჩვენს პატრონს რა აწუხებს? —

წკრილა ხმით თქვა ლარნაკმა, — ჭეშმარიტად მომკლა მისმა ოკრობოკრო ლაპარაკმა!

— რის პატრონი, რა პატრონი, — თქვა დივანმა. — ძან სცდები... ის მონაა, ჩვენი მონა,

არც მეტი და არც ნაკლები. გულშინ, როცა მყიდველებით გაიჭედა მაღაზია,

ჩემი ეზოთ მან გაჰყიდველს ვაპ, რა ქრთამი არ აძლია! რიგში მდგომებს წაეჩხუბა, ვის არ უთხრა სიტყვა ავი, დირექტორსაც შეუტია და წაართვა ჩემი თავი... ახლა აქ ვარ, და არ ვიცი

რა მომივა მის შემყურეს, მე სიხარულს არ მოველი სანამ ასე მიმსახურებს...

— მომიტევეთ, რათ არ მკითხავთ მე... მის საათს, ოქროს საათს?

მას უამრავ ნივთთა შორის ჩემი ფასი, აბა რა აქვს?

ავტობუსში როცა შედის ისე ჭდება წინა სკამზე, რომ სუყველას დაანახოს ჩემი შენ და სიღამაზე.

ამ დროს სიტყვის სადერდელი აეშალა ავტოკალამს:

— ყური მიგდეთ, მეგობრებო, გეფიცებით ჩემს ძმურ საღამს, უკაცრავად პასუხია, იმ ჩვენს პატრონს ზნე სჭირს ცული,

თქვენ აქამდე არც კი იცით, მე ამაში რით დავრწმუნდი.

ამას წინათ ხელთ ამიღო და მისწერა დედას ასე:

„საყვარელო ჩემო დედი, სულ ჯან-ღონით იყავ საესე... მსურს ერთი რამ გავიმუდავნო:

მე დროებით ასე ვცანი — ყოველ თვეს რომ გიგზავნიდი,

იმ ოც მანეთს ვეღარ ვგზავნი ერთ ორ-სამ თვეს მომითმინე,

მინდა შეეჭმნა კერა მშვიდი,

ახალ სახლში გადავიფარ და ხარჭები მაწევს ღიდი. აქ კი დივანის ბალიშებმა სწრაფლ იტკიცეს შუბლზე ხელი:

— ვამ სირცხვილო, ასეთ ამბის ჭერ არასდროს ვართ მნახველი.

იმ ფულით მან ჩვენ გვიყიდა, დედას კი არ გაუგზავნა, ასეთ პატრონს არ ეკუთვნის გაიციხვა და ლანძღვა განა?

ამ დროს თემოს გაეღვიძა, მოემატა გულის ძველი:

— ცხადია თუ სიწმინდე? თითქოს მჭერა, არცა მჭერა, ნივთებს ჰქონდათ საუბარი,

მაგრამ... ვერა გავიგე რა. ახლა უკვე საბოლოოდ მოთმინების გაწყდა ძაფი:

დივანი და ბალიშები აიჭორნენ მეტ სიბრაზით;

აქ მაგიდაც ყალბზე დადგა, გულისწყრომას ვეღარ მაღავს,

კოსტუმს აძევა ფაფანაკი, საათი კი ავტოკალამს.

და ეს უთხრეს ნივთის მონახ მთელი ქვეყნის გასაგონად:

— ჩვენ სულაც არ გვსიამოვნებს, რომ მონა ხარ, ჩვენი მონა!



საქართველოს
საბჭოთაო
საზოგადოებრივი
საბჭოთაო
საბჭოთაო

ზ ა ა კ თ ე ზ ი ნ ი ა ნ გ ი

პატრივცემული ნიანგო! ჩვენ, ქალაქ თბილისის კურნატოვსკის, სართანაის და რიონხვის ქუჩის მცხოვრებლებს, გვსურს თქვენი საშუალებით უღრმესი მადლობა გადავცეთ თელასის მუშაკებს იმ უდიდესი „ზრუნვისათვის“, რომელსაც ისინი სისტემატურად იჩენენ ჩვენს მიმართ. ამ მეტად კეთილშობილი ადამიანების წყალობით, ჩვენ დიდი უპირატესობებით ვსარგებლობთ ქალაქის სხვა მოსახლეობასთან შედარებით. იმ დროს, როდესაც ისინი ტელევიზორებსა და რადიომიმღებებს უსხედან, ყურნალ-გაზეთებს კითხულობენ, ჩვენ თავისუფლები ვართ ყოველგვარი ზრუნვისაგან და მშვიდად გვიძინავს, რითაც ენერგიას ვიათქვებით და ჩვენს მიერ შექმნილი რადიომიმღებები და ტელევიზორები გვენახება. ჩვენს ბედნიერებას საფუძვლად უდევს ძაბვა, რომელიც საღამოობით 127 ვოლტიდან 50-მდე ეცემა. ჩვენი სიხარული და კმაყოფილება უზომოა და, მხოლოდ ის გვაფიქრებს, რომ, ვაითუ ერთ შვენიერ დღეს მოგზარდეთ ამ კეთილ ადამიანებს ჩვენზე უანგარო ზრუნვა და სხვებსავეთ ჩვენც სრულყოფილი დენი მოგვაწოდონ. დმერთმა ნუ ქნას!

კურნატოვსკის, სართანაის და რიონხვის ქუჩის მცხოვრებთა სახელით: **ჟ. ცხვედაძე**
ბ. გაბუაძე
თ. რუხაძე

ძვირფასო ნიანგო! ხომ გაგიგონია სიმღერა: „როგორც მოვა, ისე წავა, წავა თავისთავადაო“. ეს სიტყვები სიყვარულზეა ნათქვამი, მაგრამ ასევე დაემართა თერჯოლის რაიონის სოფელ ნახშირღელის ავტობუსს, რომელიც ადრე ქუთაისის ავტოსატრანსპორტო კანტორამ გამოყო. ეს ავტობუსი, გარდა ნახშირღელისა, ნავენახევს, ჭალასთავს და ქვედა სიმონეთსაც ემსახურებოდა. თვით ავტობუსზე ღირსშესანიშნავი არაფერი ითქმის, გარდა იმისა, რომ არარეგულარულად მოძრაობდა, მაგრამ მოსახლეობა მაინც მეტად კმაყოფილი იყო. ეს ვერ ვაითვალისწინა ქუთაისის ავტოსატრანსპორტო კანტორამ და, გვემის შეუსრულებლობის გამო, ავტობუსი მოხსნა. ახლა ეს სიმღერა ჩვენში ასე გადააკეთეს: „როგორც წავა, ისე მოვაო...“ მაგრამ, ძმაო ნიანგო, თავისთავად რომ არაფერი მოდის?

5. ზურცხვანიძე

ყოვლისმცოდნე ნიანგო! ვინმე რომ შეგეკითხოს წაღენჯიხის რაიონის სოფელ სჭურიდან ჩხოროწყუმდე რა მანძილიაო, ეტყვი, რომ 25 კილომეტრია და ამის სის-

ჭორში ვერაფერი შეგედავება. კაცა რომ სჭურიდან ჩხოროწყუმდე ჩასვლა უნდოდეს, რა თქმა უნდა, 25 კილომეტრზე მეტის გავლა არ დასჭირდება. მაგრამ სოფელ სჭურში რომ მინერალური წყალია, სჭური, მისი ჩატანა ჩხოროწყუმდე გაცილებით ძნელი საქმეა; მან ჯერ ზუგდიდამდე 28 კილომეტრი უნდა იაროს; იქიდან ცხაკაიამდე კიდევ ორმოციოდე კილომეტრს გაივლის და შემდეგ ცხაკაიადან ჩხოროწყუმდე 38 კილომეტრს. ასე რომ 25 კილომეტრის ნაცვლად 100-ზე მეტი კილომეტრის გავლა დასჭირდება. იქნება მინერალური წყალი ამ გარკვეულ გზაზე რაიმე უკეთეს თვისებას იძენს, მაგრამ, თბილისიდან რომ ქუთაისში ფქვილი იგზავნება და ცარიელ, ფქვილისთვის უკვე უფარგის ტომრებს თბილისში აბრუნებენ, რათა ისინი კვლავ ქუთაისში გაეგზავნოს მადნების სამმართველოს, ამაზე რაღას იტყვი, ძმაო ნიანგო! შეიძლება მინერალური წყალს დაწვრივებო უხდება, მაგრამ ცარიელ ტომრებზე კი ამას ვერ იტყვი.

დ. ყალიჩაძე

ძმაო ნიანგო! ისე მოხდა, რომ დეკემბრის თვეში დიღომის მასივში მივიღე ბინა. ბინაში შესასვლელისას აღმოჩნდა, რომ ტრესტ „თბილშენის“ მეთერთმეტე სამმართველოს ბინასთან ერთად, მემკვიდრეობის სახით, მრავალი დეფექტი დაუტოვებია, რომლებსაც ახლა მობინადრეები საკუთარი ფულადი სახსრებით ვასწორებთ. დეფექტების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, ის კი უნდა ითქვას, რომ ამის შესახებ ვაცნობთ მეთერთმეტე სამშენებლო სამმართველოს უფროსს ნ. მუსიევას, მაგრამ მას ჩვენი თხოვნისთვის არავი არა ყურადღება არ მიუქცევია. იქნება გვიჩიო, ძმაო ნიანგო, როგორ მოვიძებნო?

ი. ნონიკაშვილი

ჩვენო ნიანგო! ამ ცოტა ხნის უკან, დიდი ხნის ოცნება ამისრულდა, თბილისში მალაზონაში შემთხვევით წავაწყდი ვაზის შესაწამლ მანქანას. რა თქმა უნდა, დაუფიქრებლად შევიძინე და სახლში წავიღე, მახარადის რაიონის სოფელ შრომაში. ჩემი სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა, რადგან, ერთხელ ხმარების შემდეგ, მანქანა წყობილებიდან გამოვიდა. მისი ნაწილების უმრავლესობა პლასტმასისაგანაა დამზადებული და პირველივე ხმარების შემდეგ უფარგისი ხდება. იქნება ის მაინც მასწავლო, ძმაო ნიანგო, თუ სად შეიძლება ამ ნაწილების შექმნა.

პ. სარქისიანი

ზრახვის ჩივილი

ერთი ჩვეულებრივი ტრანვაი ვარ, იმისათვის გაჩენილი, რომ ხალხს მოვემსახურო, წავიყვანო, წამოვიყვანო, სამსახურში არ დავაგვიანო, ცოლებს დროზე დაფურთუნო ქმრები, საქმე ყველას გაეუკეთო და ტაქსების გამოსაჯარებლად, მგზავრებს ჯიბე არ ამოვუფხუო.

მერე და, მართლა და მართლა, ვერე ხომ არ არის, „კარგისათვის კარგი ვის უქნია“, რომ უთქვამთ ოდესღაც. მე პაპიროსის მწვეფელი არა ვარ და, მინდა თუ არ მინდა, შიგ ცხვირში მბოროტებენ, ნამწვაგებს ზედ იატაკზე მაყრიან, ფანჯრები მე არ შემარჩინეს და ხელისმოსაკიდები. უდროოდ გამხადეს ხეიბარი, პენსიაზე გასვლა სულაც არ მინდა, რომელ ტრანსპორტზე ნაკლები მე ვარ, სხვას თუ 40 მგზავრი გადააყავს, მე ასი გადააყავს, ფერი მე არ მაკლია და ჯანი.

ხალხს და ჯამათსო! სანამ ცოცხალი ვარ და ძარღვებში დენი შემრჩენია, მისასხურეთ, აბა, თქვენი ხმალი და ჩემი კისერი, მაგრამ უდიერად ნუ მომეპყრობით, თქვენც შემობრალეთ ხანდახან, ნუთუ ჩემი საცოდაობით მართო მე უნდა მეწოდეს ეს ოხერი გული.

ბ. ხუცუბრაული

ნ.ბ. გ. ფირცხალავაძე



უტექსტო ხუმრობა.

რედაქტორი **ნ. შველიძე**.
სარედაქციო კოლეგია: **ნ. დუმბაძე, ს. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, მ. ქარჩავა, ო. ჭელიძე**.
საქ. კვ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორი. ყურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“.
რედაქციის მისამართი: რუსთაველას პრ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის—9-76-69, საერთო განყოფილების—3-10-49

ხელმოწ. დასაბ. 2/1-1963 წ. ქალ. ზომა 70x108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5. პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“. ლენინის ქ. № 14. შეკვ. № 2481, უფ 04801 ტირაჟი 40.000

დასავლეთგერმანელი რევანუსისტები უკვე დიდი ხანია ემსახურებიან საომარი კონფლიქტების გაჩაღების შავბნელ საქმეს და მუდამ მიეშურებიან საწვავი მასალით იქითკენ, სადაც იქმნება კრიზისული მდგომარეობა. მათ უნდათ ცეცხლზე ნავთი დაასხან, რათა ომის ალი ავარდეს.

(აშხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებიდან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე 1962 წ. 12 დეკემბერს).

И н а н г и
И Н Д Е К С 76137
საქართველო
ბიბლიოთეკა

რევანუსტები ანტიგერმანურად რიღი.



ნახ. გ. ლომიძისა